N 445 2014 წლის 26 ნოემბერი ქ. თბილისი

საზღვარგარეთის ქვეყნებში საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობებისა და საკონსულო დაწესებულებების საჭიროებისათვის უძრავი ქონების შეძენის საკითხებზე უწყებათაშორისი სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ

1. საზღვარგარეთის ქვეყნებში საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობებისა და საკონსულო დაწესებულებების საჭიროებისათვის უძრავი ქონების შეძენის საკითხების გადაწყვეტის მიზნით შეიქმნას უწყებათაშორისი სამუშაო ჯგუფი (შემდგომში – სამუშაო ჯგუფი) შემდეგი შემადგენლობით:

ილია ბეგიაშვილი	–	საქართველოს მთავრობის კანცელარიის ადმინისტრაციული დეპარტამენტის უფროსი
გოჩა ლორთქიფანიძე	–	საქართველოს იუსტიციის მინისტრის მოადგილე
გიორგი კაკაურიძე	–	საქართველოს ფინანსთა მინისტრის მოადგილე
ვლადიმერ გურგენიძე	–	საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე
გელა ბუკია	–	საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ადმინისტრაციული დეპარტამენტის დირექტორი
ირაკლი ქოიავა	–	საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს იურიდიულ საკითხთა და პარლამენტთან ურთიერთობის დეპარტამენტის დირექტორი.

2. დაევალოთ საზღვარგარეთ საქართველოს შესაბამის დიპლომატიურ წარმომადგენლობებსა და საკონსულო დაწესებულებებს, რომ სამუშაო ჯგუფს წარუდგინონ დიპლომატიური წარმომადგენლობებისა და საკონსულო დაწესებულებებისათვის შესაძენი უძრავი ქონების ჩამონათვალი.

3. სამუშაო ჯგუფმა ამ ბრძანების მე-2 პუნქტის შესაბამისად, მისთვის წარდგენილი ჩამონათვალიდან შეარჩიოს შესაბამისი უძრავი ქონება და აღნიშნულთან დაკავშირებით წინადადებები წარმოუდგინოს საქართველოს მთავრობას განსახილველად.

4. შესაბამისი უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორ-მებისას ხელშეკრულების შინაარსი შეთანხმებული უნდა იქნეს სამუშაო ჯგუფის წევრ უწყებებთან.

5. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის შესაბამისად, ძალადაკარგულად გამოცხადდეს საქართველოს პრემიერ-მინისტრის 2012 წლის 30 ნოემბრის №1592 ბრძანება „საზღვარგარეთის ქვეყნებში საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობებისა და სა-კონსულო დაწესებულებების საჭიროებისათვის უძრავი ქონების შეძენის საკითხებზე უწყებათაშორისი სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ“.

ირაკლი ღარიბაშვილი